N 01-360
16/03/2015

360-01-2-201503161815

შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"-ს

დირექტორს ბატონ გიორგი გოცირიძეს

მის: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. N10

ბატონო გიორგი,

ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანების საფუძველზე შექმნილი „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების კომისიის" 2015 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად, გთხოვთ 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით დააზუსტოთ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოიცავს თუ არა თბილისის ისტორიულ ნაწილში საინჟინრო-ტექნიკური (წყალსადენის, კანალიზაციის და სანიაღვრე) ქსელის მდგომარეობის შეფასებას და აღნიშნული სამუშაოს შესრულება განხორციელდება თუ არა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში.

ამასთანავე შეგახსენებთ, რომ გამოცხადებული საკონკურსო დავალების (უ/ნ N15011) მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში: ,,10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში".

თემურ ხომერიკი

თავმჯდომარე

ა(ა) იპ „ თბილისის განვითარების ფონდი"

საქართველო, თბილისი 0108, ძმები ზუბალაშვილების ქ. 48 / 48 Dzmebi Zubalashvilebi str. Tbilisi 0108, georgia
+995 (0) 32 247 00 14 / info@tdf.ge / www.tdf.ge